საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011770376026123

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 102414 **17 / მაისი / 2023 წ.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
უფროსს, ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომ – „სააგენტო“) წარმოდგენილი 2023 წლის 26 აპრილის №3059/3-53/23 მომართვასთან დაკავშირებით (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის № 103169/17), რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს:

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ელექტრონული მონაცემებით, 2022 წლის 13 ოქტომბრიდან 2023 წლის 26 აპრილამდე პერიოდისთვის:

ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა 8872 რუსეთის ფედერაციის მოქალაქე;

წილის მესაკუთრის ან/და დამფუძნებლის სახით რუსეთის ფედერაციის 889 მოქალაქის მონაწილეობა დარეგისტრირდა 646 იურიდიულ პირში. წილის მესაკუთრის ან/და დამფუძნებლის შესახებ მონაცემები მოძიებულია შემდეგი სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტებში: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ხელმძღვანელი/წარმომადგენლის ან/და მმართველი ორგანოს წევრის სახით, რუსეთის ფედერაციის 638 მოქალაქის მონაწილეობა დარეგისტრირდა 563 იურიდიულ პირში. ხელმძღვანელი/ წარმომადგენლის ან/და მმართველი ორგანოს წევრის შესახებ მონაცემები მოძიებულია შემდეგი სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტებში: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კოოპერატივი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, 2022 წლის 13 ოქტომბრიდან 2023 წლის 26 აპრილამდე პერიოდისთვის:

3878 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 4745 საცხოვრებელ ბინა/ერთეულზე.

543 მიწის ნაკვეთზე, რომელზეც არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობა, დარეგისტრირდა 404 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება. მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 104.098 კვ.მ-ს;

ხოლო, 886 მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა, დარეგისტრირდა 829 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება. მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 118.213 კვ.მ-ს.

ამასთან, 2022 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 26 აპრილამდე პერიოდისთვის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა საკუთრებაში რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის გარეშე მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 265.049 კვ.მ; ამავე პერიოდისთვის შენობა-ნაგებობებიანი მიწის ნაკვეთების ჯამური

ფართობია 209.600 კვ.მ; ხოლო საცხოვრებელი ბინა/ერთეულების ჯამური ფართობი: 424449.823 კვ.მ.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია მოძიებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული და მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით.

პატივისცემით,

საინფორმაციო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თათია გაწერელია